KNOWLEDGE AND ENHANCEMENT OF ARCHITECTURAL HERITAGE
NORA LOMBARDINI / DABC POLITECNICO DI MILANO
CITY AND ADAPTIVE REUSE
ELENA SOLERO / DABC POLITECNICO DI MILANO

20:35 BUFFET & WINE

TAD WEEK
16TH MAY 2024
9:30 REGISTRATION
ARTIZAN DESIGN HOTEL
12 MACHAKADZE STREET
TBILISI


9:45 - 10:00
WELCOME REMARKS
MARIAM BOTCHORISHVILI - TAD WEEK
STEFANO CAPOLOGNO - DEPARTMENT OF ARCHITECTURE, BUILT ENVIRONMENT AND CONSTRUCTION ENGINEERING
POLITECNICO DI MILANO / DABC-POLIMI
NORA LOMBARDINI - DEPARTMENT OF ARCHITECTURE, BUILT ENVIRONMENT AND CONSTRUCTION ENGINEERING
POLITECNICO DI MILANO / DABC-POLIMI
NINO IMNADZE - FACULTY OF ARCHITECTURE, URBAN PLANNING AND DESIGN
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY / GTU

10:00 - 11:30
CITY AND ADAPTIVE REUSE
REGENERATING FRAGILE TERRITORIES: A CROSS-BORDER ACTION-RESEARCH
ELENA SOLERO - DEPARTMENT OF ARCHITECTURE, BUILT ENVIRONMENT AND CONSTRUCTION ENGINEERING
POLITECNICO DI MILANO / DABC-POLIMI

11:30 - 13:00
DESIGN AND CH. VALORIZATION THROUGH DIGITAL TECHNOLOGIES AND SERIOUS GAMES
MAURO ATTILIO CECONELLO, DAVIDE SPALLAZZO - DEPARTMENT OF DESIGN POLITECNICO DI MILANO / DESIGN-POLIMI

13:00 - 14:00
NETWORKING LUNCH

14:00 - 19:00
WORKSHOP - URBAN REGENERATION THROUGH CULTURAL HERITAGE
ELENA SOLERO, ANDREA REBECCHI, STEFANO CAPOLOGNO / POLIMI
NINO IMNADZE, MARIKA POCHKUA, BESO TATISHVILI / GTU



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის TAD Week -ის მთავარი მხარდამჭერი. მასთან ერთად არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები: ნინო იმნაძე, მარიკა ფოჩხუა და ბესარიონ ტატიშვილი.

კვირეული მასპინძელი [Artizan Design Hotel](https://www.artizanhotel.com/).

ფოტოქრონიკა





საჯარო ლექცია კომპანია „BARRISOL” - ის საერთაშორისო კონსულტანტთან ვასსიმ შაჰჰალთან/Wassim Shahhal. Barrisol Intrnational Consultant.

2024 წლის 29 მაისს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა საჯარო ლექცია კომპანია „BARRISOL” - ის საერთაშორისო კონსულტანტთან ვასსიმ შაჰჰალთან/Wassim Shahhal. Barrisol Intrnational Consultant. ლექციას დაესწრნენ სტუდენტები და პროფესორ - მასწავლებლები. კომპანია „BARRISOL” არის მსოფლიოში #1 კომპანია, რომელიც აწარმოებს ჭერის გადახურვის მასალას. გადახურვა დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა ნაჭრისგან და ფლობს უნიკალურ თვისებებს. არის მდგრადი, ელასტიური, მოქნილი, ესთეტიური, განიავებადი და ფაქტიურად არ ზიანდება. მას იყენებენ როგორც საზოგადოებრივ ისე საცხოვრებელი შენობა - ნაგებობების ინტერიერში. მომხსენებელმა დეტალურად არწერა მასალის თვისებები და აჩვენა გამოყენების შესაძლებლობები. ლექციის ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია.

დეტალებს კომპანიის პროდუქტის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ: www.barrisol.com



2024 წლის 20-27 მაისს ერაზმუს + პედაგოგთა მობილობის ფარგლებში ფაკულტეტზე საჯარო ლექციები წაიკითხეს თურქეთის სივასის უნივერსიტეტის პედაგოგებმა სემა ბალჩიკიმ და საიდა სელინმა. ასევე პოლონეთის ნისის და ვროცლავის უნივერსიტეტებიდან პროფესორებმა პიოტრ ოპალკამ და ლუკას იან ბედნარზიმ. ლექციები ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია და სხვა.





სასწავლო - შემეცნებითი ვიზიტი

2024 წლის 5 ივნისს არქიტექტურის ფაკულტეტზე სასწავლო - შემეცნებითი ვიზიტით იმყოფებოდნენ ირანელი არქიტექტორები: პროფესორი ამირ ჰოსსეინ აშარი/Amir Hossein Ashari, არქიტექტორი ვაჰაბ ზანგანჩი/Vahab Zanganch და შირაზ უნივერსიტეტის ხელოვნების და არქიტექტურის ფაკულტეტის /Shiraz University, The Faculty Arts and Architecture სტუდენტები



ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს ერაზმუს+ (Erasmus+)

2015 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს ერაზმუს+ (Erasmus+) პირველი აქტივობის (ინდივიდუალური სასწავლო მობილობა) ფარგლებში - საერთაშორისო მობილობას კრედიტების დაგროვებით - International Credit Mobility (ICM).

2023-2024 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან ერაზმუს+ კოორდინატორ უნივერსიტეტებში გაემგზავრნენ შემდეგი სტუდენტები:

1. ოთარ გალდავა - ფატიჰ სულთან მეჰმეთის უნივერსიტეტი;
2. ნიკოლოზ სიდიანი - ნისის უნივერსიტეტი;
3. სოფიო ღავთაძე - სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი;
4. ნიკიტა ტიმოშენკო - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი;
5. თეკლა კანდელაკი - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი;
6. ანა კინწურასვილი - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი;
7. ლემან იუნუსოვა - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი.

აკადემიური პერსონალის მობილობა

2024 წლის 20 – 27 მაისს ერაზმუს + პედაგოგთა მობილობის პროგრამის ფარგლებში მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაემგზავრნენ ასოც. პროფესორი დავით ბოსტანაშვილი და ასოც. პროფესორი ნათია ქოჩლაძე.

2024 წლის 30 მაისს ფაკულტეტზე ERASMUS+ STAFF MOBILITY FOR TEACHING

MOBILITY პროექტის ფარგლებში აკადემიური ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან პედაგოგები:

თურქეთის სივასის უნივერსიტეტიდან/Sivas Cumhuriyet University 2 კოლეგა: სემა ბალჩიკი და საიდა სელინი.

ასისტენტ პროფესორი საიდა სელინმა ქართველ სტუდენტებს წაუკითხა ლექციები სხვადასხვა თემებზე: Basic design principles, Urban Design Principles and Theories, Architecture and Art History, Urban Conservation and Renewal, History of Settlements;

ლექტორი სემა ბალჩიკმა ისაუბრა მდგრად არქიტექტურაზე: sustainable architecture and energy efficiency in buildings training, Sustainability in architectural education training, Sustainability in architecture studio education training, Sustainable renovation of buildings training, Sustainable renewed buildings in Tbilisi training

ნისის და ვროცლავის უნიდან (პოლონეთი) 2 კოლეგა: პიოტრ ოპალკა და ასისტენტ პროფესორი ლუკას იან ბედნარზი (Lukasz Jan BEDNARZ, Wroclaw University of Science and Technology) მათ სტუდენტებს ჩაუტარეს მასტერკლასი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - რეაბილიტაციაზე.

ერაზმუს+ გაცვლითი პროექტის სტუდენტთა მობილობის ფარგლებში 2023/24 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ევროპის უნივერსიტეტებში მყოფ სტუდენტებთან შეხვედრა.

შეხვედრა შედგა 2024 წლის 30 მაისს. შეხვედრის დროს სტუდენტებმა აუდიტორიას გაუზიარეს მიღებული გამოცდილება, ისაუბრეს პრობლემებზე თუ რა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, ისაუბრეს სწავლების პროცესზე, იმ განსხვავებებზე რაც იქ ნახეს. დიმიტრი ჯლანტიაშვილმა წარმოადგინა რომში ყოფნისას შესრულებული პროექტები. შეხვედრა წარიმართა დიალოდის ფორმატით.

სტუდენტები, რომლებიც იმყოფებოდნენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში:

მარიამ ცოციაშვილი - შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University – METU), დიმიტრი ჯლანტიაშვილი - რომის საპიენცის უნივერსიტეტი (Sapienza University of Rome), ნიკოლოზ ბიწაძე - ბიალისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (Bialystok University of Technology – BUT), ნიკოლოზ არობელიძე - ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (Lublin University of Technology - LUT), გვანცა ხუციშვილი - დასავლეთ ატიკის უნივერსიტეტი (University of West Attica –UWA)



გამოფენები


2024 წლის 9 თებერვალი

სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა: „ფორმა სივრცეში“



2024 წლის 19 მარტი

სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა „სივრცითი კომპოზიცია“ - გალერეა „უნივერსში“



<https://gtu.ge/News/24593/>

სტუ-ის სტუდენტებმა ეროვნული სამოსის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ნამუშევრები წარმოადგინეს

17-06-2024 წელს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების „არქიტექტურა“ და „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ბაკალავრებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნული სამოსის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ნამუშევრები. დეტალური ინფორმაცია იხილეთ სტუ-ს ვებგვერდზე:

<https://gtu.ge/News/25210/>

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქრისტიანული კულტურის კვლევის საუნივერსიტეტო ლაბორატორიისა და მიშელ მუსხელის, ნიკო ნიკოლაძისა და ნოდარ ტაბიძის სტუდენტური კლუბების თანაორგანიზებით, ქართული ეროვნული სამოსის თემატიკაზე შექმნილი სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

მხატვრული ნამუშევრები, რომლებიც სტუ-ის ადმინისტრაციული შენობის ფოიეში გამოიფინა, უმეტესწილად, უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მოდის დიზაინის ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ავტორობით იყო შესრულებული.“ როგორც ვიცე-რექტორმა აღნიშნა, საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის ინიციატივით, საუნივერსიტეტო ღონისძიების მიზანი, სტუდენტებში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება და ეროვნული ტრადიციების პოპულარიზაციის ხელშეწყობაა.

თამარ წერეთლის თქმით, სტუდენტურ ნამუშევრებში ნათლად ჩანს, რამდენად საფუძვლიანად შეისწავლეს ახალგაზრდებმა ქართული ტრადიციული სამოსი და ის ატრიბუტიკა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ყოფილიყვნენ თუ სარიტუალო დანიშნულებით იყენებდნენ. “ აღნიშნა სტუ-ს ვიცე-რექტორმა თამარ წერეთელმა.



ქეთევან თეთვაძე



ნინო გზირიშვილი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის: „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“
სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა გალერეა უნივერსში



2024 წლის 3 ივლისს სტუ-ს საგამოფენო გალერეა „უნივერსში“ მოეწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. წარმოადგენილი იყო სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტების მიერ შექმნილი ტანსაცმელი როგორც ყოველდღიური ისე დიზაინერული. ასევე კომპოზიციები შექმნილი სხვადასხვა ფაქტურის მასალაში (ნაჭერი, მუყაო, ქაღალდი და სხვა), თემატური ინსტალაციები და საბაკალავრო დამასრულებელი ნამუშევრები შესრულებული უახლესი ტექნოლოგიებით მიღებული მასალებში. პროგრამის ხელმძღვანელი ლია ლურსმანაშვილი, პედაგოგი ნინო გზირიშვილი.

მასტერკლასი **Riverside-რივერსაიდის შოურუმში**

2024 წლის 11 აპრილს სტუდენტები და ინტერიერის დიზაინის პედაგოგები დაესწრნენ ფირმა **Riverside-რივერსაიდის** მიერ შოურუმში მასტერკლას სამშენებლო აკუსტიკური მასალების შესახებ.



კულტურა და სპორტი

2024 წლის 22 თებერვალი



ახალი საუნივერსიტეტო სტუდენტური შემოქმედებითი ჯგუფი - Music Art Hous“, რომელიც ჩამოყალიბდა 2023 წელს და მის შემადგენლობაში არიან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები: მარი ნოსელიძე, ანა არმეგონაშვილი, ლიკა კარიჭაშვილი. საუნივერსიტეტო გოგონათა მუსიკალური ჯგუფი ერთი წელია ჩამოყალიბდა მათ შეუერთდა პიანისტი საბა ბასიაშვილი.



ანა არმეგონაშვილი



ა. არმეგონაშვილი, მ. ნოსელიძე



ლ.კაჭკაჭიშვილი

ს. ბასიაშვილი

2024 წლის 22 თებერვალს გამართეს კონცერტი სტუ-ში.

ჩვენ ფაკულტეტის სტუდენტები არიან უნივერსიტეტის თეატრის „მოდის ნახე“ დასის წევრები და მონაწილეობენ სხვადასხვა სპექტაკლებში - 2024 წლის 31 იანვარი



2024 წლის 30 მაის არქიტექტურის ფაკულტეტზე გაიმართა შიდა საფაკულტეტო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. ტურნირის შემდეგ მოხდა გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება.



11 ივნისს არქიტექტურის ფაკულტეტზე გაიმართა შიდასაფაკულტეტო ჩემპიონატი მკლავკიდში სხვადასხვა წონით კატეგორიებში. შეჯიბრების შემდეგ მოხდა გამარჯვებულების დაჯილდოება!



სტუდენტთა წარმატებები. მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში

ფოტო კონკურსი „წყალი მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისათვის“

2024 წლის 23 მარტი

მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე 04 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I-ლი ფოტო კონკურსი „წყალი მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისათვის“. კონკურსში 70 მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომლებმაც წყლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები გააცნეს საზოგადოებას.

კომპეტენტურ ჟიურის საკმაოდ გაუჭირდა საუკეთესოების გამოვლენა. თავიდან 12 ნაშრომი შეირჩა, საიდანაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ I-II-III ადგილები ცალ-ცალკე მიენიჭებინათ

სკოლის მოსწავლეებისა და სტუ-ის სტუდენტების საუკეთესო ნამუშევრებისთვის. კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებები ცნობილი გახდა 21 მარტს გვიან საღამოს.

კონკურსში II ადგილი: „ფახულანი“; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტი ილენი გუჩუას გადაეცა.



გამარჯვებული ფოტოების ავტორები 22 მარტს სტუ-ში წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმის მიმდინარეობისას დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.



<https://gtu.ge/News/24566/>



ფაკულტეტის სწავლების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს „ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვირულის“ ლოგოს კონკურსი.


02-04-2024

კონკურსი საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაატარა.



ჩვენი სტუდენტები უცხოეთის უნივერსიტეტებში

2023/2024 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩვენმა მაგისტრანტმა ნინო პატარკაციშვილმა გაატარა მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. წარმოგიდგენთ მის მიერ შესრულებულ პროექტს: რესტავრაცია - რეკონსტრუქციის მიმართულებით.



მეტის სანახავად მიეცეით ბმულს: Cusago Castle Survey, Preservation and Reuse Project

Nini Patarkatsishvili;

https://www.behance.net/gallery/179597177/Cusago-Castle-Survey-Preservation-and-Reuse-Project?fbclid=IwAR24FMoYcKSrhndbJL4lpFIkigbKqgcxmT3kNnDhzZWVGroA2WE7zQhDU1s_aem_ASvj2Yg1Pu3yA3Dshzrp5Y43q13asyOJmBCDDpnAhofVZccK_UcfN5UgoMj9YSIUey2v0AghRfaHn5ShRAiRIO-q

ალიარება

2024 წელს სტუ-ს სამეთვალყურო საბჭოს წევრად არჩეული იქნა ემირიტუსი, საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია. არქიტექტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მას-დელ-პლატას უნივერსიტეტის (არგენტინა) საპატიო დოქტორი, თბილისის და მანსის (ინდიანა, აშშ) საპატიო მოქალაქე.

თამაზ ბეკაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდია

2024 წლის 5 აპრილი.

თამაზ ბეკაიას საგანმანათლებლო ფონდმა 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრში აკადემიური მოსწრების მხრივ უმაღლესი რეიტინგის მქონე ბაკალავრიატის სტუდენტს უჩა მჭედლიშვილს სტიპენდია დაუნიშნა. აღსანიშნავია, რომ უჩა მჭედლიშვილი მეორეჯერ გახდა ფონდის სტიპენდიანტი.



სტუ - ში, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, ახალგაზრდა მეცნიერი ქალები დააჯილდოვეს

19-02-2024



ჯილდო გადაეცა ჩვენი ფაკულტეტის დოქტორანტს ანა გობეჯიშვილს.

<https://gtu.ge/News/24308/>

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი - გვანცა ცხადაძე

2024 – 2025 სასწავლო წელს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამტავრებული, არქიტექტურის ბაკალავრი გვანცა ცხადაძე გახდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტი. გვანცა 2024-2025 სასწავლო წლიდან სწავლას გააგრძელებს მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტში, მაგისტრატურის საფეხურზე.



ბაკალავრიატის კურსდამტავრებული გვანცა ცხადაძე დაჯილდოების ცერემონიაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეხვედრა აბიტურიენტებთან - 2024 წლის 16 აპრილი; შეხვედრას დაესწრო 200 - მდე აბიტურიენტი



გასვლითი შეხვედრები აბიტურიენტებთან ქ. რუსთავეში



გასუბრება აბიტურიენტებთან: 2024 წლის 3 ივნისიდან 24 ივნისამდე



საუბრები არქიტექტურასა და ხელოვნებაზე

2024 წლის 14 აპრილს ფაკულტეტის პროფესორი მაია დავითაია შეხვდა ქ.თბილისის 51 საჯარო სკოლის მოსწავლეებს. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია არქიტექტურაზე და ხელოვნებაზე.



ფაკულტეტის კურსდამთავრებულების, სტუდენტების და პედაგოგების ინტერვიუები

2024 წლის 12 იანვარი

‘ოცნებით დაწყებული არქიტექტურა და ნაგებობებში გაცოცხლებული ხელოვნება - ინტერვიუ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთან და ამჟამად დოქტორანტთან არქიტექტორ შორენა წილოსანთან.

ინტერვიუ გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2014 წლის 15 თებერვალი

„საცხოვრებელი სახლი თვალადში - NS - ს ნამუშევარი“ ინტერვი ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან ნინო ჭანტურია და ლუკა ჩაგანავა (NS სტუდიის დამფუძნებლები).

ინტერვიუ გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 22 თებერვალი

ინტერვიუ დავით ბოსტანაშვილთან “სად შევისწავლი არქიტექტურას?

ინტერვიუ გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 29 თებერვალი

„დავით ბოსტანაშვილი ბახმაროში დაგეგმილ მშენებლობაზე“ რადიო თავისუფლება.

www.radiotavisupleba.ge



2024 წლის 23 მარტს რადიო „მაუწყებელი“

არქიტექტორი, დავით ბოსტანაშვილი, საუბრობს დეველოპერული კომპანია "ორბის" დაგეგმილ პროექტზე ბახმაროში.

2024 წლის 29 თებერვალი

„2024 წლის მთავარი არქიტექტურული და დიზაინ ტენდენციები - Material Editors“ - ის გზამკვლევი. ინტერვიუ დამფუძნებელთან მარიამ გვაზავასთან, რომელიც ჩვენი ფაკულტეტის კურსდამტავრებულია. გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 1 მარტი.

“სამყაროთა აღმოჩენისა და დაკვირვების პროცესი ურბანისტიკის და არქიტექტურაში” - ინტერვიუ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთან ნუცა ლომსაძესთან. გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 4 აპრილი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირების კულტურის ფორმირება საქართველოში – გიორგი გოგავას ხედვა. ინტერვიუ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთან გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 31 მაისი

ბინის ინტერიერით დაწყებული საყვარელი საქმე — ინტერვიუ „Wohnung-Architects“-ის დამფუძნებლებთან - სტუ-ს კურსდამთავრებულებთან: სალომე სიხარულიძესთან და ეკატერინე ჩხეიძესთან. გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში : Home is (www.homeis.ge)



2024 წლის 21 ივნისი

ქალაქგეგმარება, როგორც სივრცის სწორად განვითარების შესაძლებლობა — ინტერვიუ
ოთარ ხვედელიძესთან




<https://www.homeis.ge/otho-khvedelidze>

2024 წლის 15 მარტი

ჩვენი ფაკულტეტის პედაგოგის, მხატვარ ბიძინა ქავთარაძის ნამუშევრების გამოფენა
გალერეა „შარდენში“



2024 წლის 31 მარტს სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ამერიკელი არქიტექტორის ვლადიმერ ბელოგოლოვსკის ონლაინ ინტერვიუ არქიტექტურული სტუდია: "ლაბორატორია 3" - ის დამფუძნებლებთან დიმიტრი შაფაქიძესთან და ირაკლი აბაშიძესთან: "We see architecture in everything. We want to build our own utopia," მათი ნამუშევრები გამოირჩევა სიახლეებით, შემოქმედებითობით. აპროექტებენ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ სახლებს.



2024 წლის 26 მარტს გაიხსნა შალვა ამირანაშვილის მემორიალი. არქიტექტორები ვახტანგ დავითაია და თენგიზ გოგოლაშვილი. მოქანდაკე ოთარ ფარულავა. მემორიალი განთავსდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შესასვლელში.



არქიტექტორები ვახტანგ დავითაია და თენგიზ გოგოლაშვილი

“საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი” (GNUF)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან ერთად, გაეროს განსახლების პროგრამის (UN-Habitat) მხარდაჭერით, პირველ ეროვნულ ურბანულ ფორუმში (NUF) გაიმართა.

“საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი” (GNUF) 2024 წლის 20 ივნისს გაიხსნა და 21 ივნისს დასრულდა. საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდება საქართველოსა და მისი რეგიონების, როგორც სივრცით, ისე - ურბანულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. ფორუმზე მთავარი სპიკერები იყვნენ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები: ვლადიმერ ვარდოსანიძე და მერაბ ბოლქვაძე.





საქართველოს საუკეთესო არქიტექტურული კომპანიები - Architizer-ის რეიტინგი

https://bm.ge/news/saqartvelos-sauketeso-arqiteqturuli-kompaniebi-architizer-is-reitingi?fbclid=IwAR1fXEL-cwEA9Bcb3E53BNoEUjh1EAbv6cNjwJOZgVnXwD22lsJKz5_HEeM_aem_ASu2L_T1SdK9MAC0CbGbpEx5KWuMQKUvP9jcNb0mwAi4SYE435_mmHnnbm0vdVMHD4iVizUTzY5wFmFtgK9-oeVi

არქიტექტურული კომპანიები მოხვდნენ Architizer-ის რეიტინგის პირველ ხუთეულში. ავღნიშნავთ იმ კომპანიებს, რომელიც ჩვენი ფაკულტეტის კურსდამტავრებულების მიერ არის დაფუძნებული.

სტატია იწყება ასე: „ჩვენი ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობაზე საუბარი, უკვე დიდი ხანია, დღის წესრიგში აღარ დგას, რადგან ჩვენი ბუნების, სამხარეულოს და სტუმართმოყვარე ხალხის შესახებ მთელ მსოფლიოში კარგად იციან. თუმცა ტურისტულ მიმართულებებთან ერთად, საქართველო საზღვარგარეთ არქიტექტურული კომპანიებითაც არის ცნობილი, რაც იმ არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოთი დასტურდება, რომლებსაც ჩვენი კომპანიები საერთაშორისო ასპარეზზე ეუფლებიან.

ამ ჯილდოებს თავი არქიტექტურულ წრეებში ცნობილმა პლატფორმამ, Architizer-მა მოუყარა თავი და საქართველოს საუკეთესო არქიტექტურული სახლების რეიტინგი შეადგინა, რომელშიც ათი ქართული კომპანია მოხვდა. თუმცა სანამ საუკეთესო არქიტექტორებზე და მათ კომპანიებზე მოგიყვებით, პირველ რიგში კრიტერიუმებს გაგაცნობთ. ამ რეიტინგისთვის, Architizer-ის გუნდი ხუთ შეფასებას დაეყრდნო, რომლებიც, უმეტესწილად, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში ფინალისტობას ან გამარჯვებას მოიაზრებს. ამასთან, მნიშვნელოვან კრიტერიუმად უშუალოდ Architizer-ის ბაზაში ატვირთული პროექტების რაოდენობაც განისაზღვრა.“ სტატიის ავტორი გიორგი არონია.

#3 ადგილი - STIPFOLD დამფუძნებელი ზექა ფხაკაძე (სტუ-ს კურსდამთავრებული)

Architizer-ის რეიტინგის მე-3 ადგილს არქიტექტურული კომპანია STIPFOLD-ი დასჯერდა, რომლის სახელი ინგლისური “steep”-ისა და “fold”-ის, ანუ ციცაბოს და დაკეცვის კომბინაციას აღნიშნავს. თუმცა ეს კომპანია, როგორც ჩანს, ამ მიდგომას პრაქტიკაშიც იყენებს, რადგან STIPFOLD-ის ბევრი პროექტი, სწორედ ორიგამის ტექნიკით შესრულებულ ნამუშევარს ჰგავს. STIPFOLD-ის პორტფელის გამორჩეულ პროექტებს შორის, უმეტესწილად, კერძო სახლებს ვხვდებით, რომელთა დიზაინს კომპანია იმ გარემოს არგებს, სადაც ეს სახლები არის განთავსებული. STIPFOLD-ის გამორჩეულ პროექტებს შორის Architizer-ი წყნეთში მდებარე SLASHBACK-ს და თბილისში მდებარე რამდენიმე საინტერესო სახლს ასახელებს.

#5 ადგილი - Laboratory of Architecture #3 (სტუ-ს კურსდამთავრებული)

<https://loa3.ge/about/>


Architizer-ის რეიტინგის მე-5 ადგილზე Laboratory of Architecture #3 მოხვდა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი არქიტექტურული სახლია საქართველოში. ირაკლი აბაშიძემ და დიმიტრი შაფაქიძემ ის ჯერ კიდევ 2006 წელს დააფუძნეს. ამ არქიტექტურული სახლის ცნობილ პროექტებს შორის ვხვდებით, როგორც ძველ თბილისში მდებარე სასტუმრო Glarros Oldtown-ს და ხელოვნების სასახლესთან მდებარე Groove Desing Hotel-ს.



#6 ადგილი — SPECTRUM დამფუძნებელი დავით ნიკურაძე (სტუ-ს კურსდამთავრებული)

#8 ადგილი — SEDUM.ARCHITECTS - ალექსანდრე რამიშვილი (სტუ-ს კურსდამთავრებული)

დამასრულებელი ნამუშევრების დაცვები

2024 წლის 1 ივლისი. საბაკალავრო დამასრულებელი ნამუშევრების დაცვები.





საუკეთესო საბაკალავრო ნაშრომი: გიორგი სვანიშვილის საბაკალავრო დამასრულებელი პროექტი: „სამონასტრო კომპლექსი ყვარელის ტბასთან“. ხელმძღვანელი გიორგი კვიწინაშვილი.

სამივე საბაკალავრო პროგრამა: არქიტექტურა, არქიტექტურა (რუსულენოვანი) და მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ დაასრულა 135 ბაკალავრმა. მათ მიენიჭათ არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი და დიზაინის ბაკალავრის ხარისხი.

2024 წლის 2 – 5 ივლისის ჩათვლით შედგა სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომების დაცვა.

50 მაგისტრანტს მიენიჭა არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი.



მაისტრანტი ნინო პატარკაციშვილი საუკეთესო კურსდამთავრებული



უკვე მაგისტრები და დაცვის კომისიის წევრები



მაგისტრანტი ანა წერგამე საუკეთესო კურსდამთავრებული

2024 წელს მაისის და ივლისის თვეში შედგა სადოქტორო დამასრულებელი ნაშრომების დაცვა.

სადოქტორო პროგრამა: „არქიტექტურა“. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „არქიტექტურის დოქტორი“.

1.დოქტორანტი გიორგი კვიწინაშვილი - სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „საქართველოს რეგიონებში ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ახალი სარეკრეაციო სივრცის არქიტექტურული ფორმირების პრინციპები“. სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო იმნაძე, სტუ-ს პროფესორი

2.დოქტორანტი გირკელიძე თამარიკო - სადისერტაციო თემის სათაური: „მალღივი შენობების მინის ფასადების პრობლემატიკა“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ბერიძე ლევან.

3.დოქტორანტი ანა გეგეშიძე - სადისერტაციო თემის სათაური: „ჯანდაცვის სფეროს არქიტექტურა პანდემიის პირობებში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი გიორგი წულუკიძე.

4. დოქტორანტი ეკა ბეჟაშვილი - სადისერტაციო თემის სათაური: საზოგადოებრივი, კრეატიული სივრცეების ორგანიზების საკითხები ურბანულ გარემოში. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ჩხეიძე

სადოქტორო პროგრამა: „არქიტექტურათმცოდნეობა“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია“
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი

1. დოქტორანტი: ნინო ჩიჩილიძე **სადისერტაციო ნაშრომის სათაური:** „ფოთის მაცხოვრის საკათედრო ტაძარი-არქიტექტურა, ისტორია“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი თამარ ჩუბინიძე

2. დოქტორანტი: ნაია ენდელაძე

სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „ხელოვნების თანამედროვე მუზეუმები-ფუნქციები და გამოწვევები 21-ე საუკუნეში მსოფლიოში და საქართველოში“

ხელმძღვანელი: ვანდა მუჯირი სტუ-ს პროფესორი

3. დოქტორანტი: ნინო ალექსიძე

სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „არქიტექტურული და მხატვრული კონცეფციები ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში და მათი წარმოჩენა საგანმანათლებლო პროგრამებით“


ხელმძღვანელი: მაია დავითაია სტუ-ს პროფესორი

კურსდამთავრებულების გაცილების ღონისძიება

2024 წლის 19 ივლისს 17.00 საათზე გაიმართა 2024 წლის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების გაცილების ღონისძიება. ღონისძიებას დასწრნენ, როგორც ბაკალავრიატის ასევე მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურების კურსდამთავრებულები. ღონისძიება გაიმართა სტუ-ს პირველი კორპუსის ღია ტერასაზე (კოსტავასა და ჩიქოვანის ქუჩათა კვეთაზე).

ღონისძიება გახსნა ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ. კურსდამთავრებულებს მიულოცეს სტუ-ს ვიცე - რექტორმა თამარ წერეთელმა, სტუდენტური თვითმართელობის პრეზიდენტმა დავით ლეშკაშელმა, პროფესორმა გიორგი სალუქვაძემ და ასოც. პროფესორმა ნუგზარ ხვედელიანმა. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვეს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებმა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ჩვენივე ფაკულტეტის სტუდენტებმა: მარი ნოსელიძემ, ლიზა კარიჭაშვილმა, გვანცა გიგაშვილმა, ანა არმეგონაშვილმა. მათ 2023 წელს ჩამოაყალიბეს კვრტეტი „next station“ (ხელმძღვანელი გიორგი ქურაშვიდიანი). ღონისძიების კულმინაცია იყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ჰიმნი, რომელიც პირველად გაჟღერდა. კომპოზიტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თამარ სალუქვაძე.

დასასრულს კურსდამთავრებულებმა აყარეს ქუდები. თუმცა, უკვე რამოდენიმე წელია ფაკულტეტზე არსებობს ტრადიცია, რომელსაც ჩვენ ვეძახით ჩაფხუტების აყრას. სიმბოლურად კურსდამთავრებულებს თავზე ახურავთ ე.წ. სამშენებლო თეთრი ჩაფხუტები, რომელზედაც სამახსოვროდ ხელს აწერენ, როგორც სტუდენტები ასევე პედაგოგები. ღონისძიებას დაესწრნენ როგორც აკადემიური ისე მოწვეული პედაგოგები.





დატალურად: <https://gtu.ge/News/25733/>

<https://www.interpressnews.ge/ka/article/806927-sakartvelos-teknikurma-universitetma-arkitekturis-urbanistikisa-da-dizainis-pakultetis-kursdamtavrebulta-gacileba-gonisziebit-agnishna/>

